

შიდა მობილობის წინაპირობები და კრიტერიუმები (2020 შემოდგომა)

III. კომპიუტერული მეცნიერებების და მათემატიკის სკოლა, კომპიუტერული მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა

წინაპირობები/კრიტერიუმები

1. პროგრამირების აბსტრაქციის საგანი - 70 ქულა

კრიტერიუმის შეფასება მოხდება შემდეგნაირად:

- თქვენი ქულა პროგრამირების აბსტრაქციის საგანში 100 ბალიანი შკალიდან გადავა 70 ბალიან შკალაზე, მაგალითად, თუ თქვენ გყავთ 90 ქულა პროგრამირების აბსტრაქციის საგანში, 2.1 კრიტერიუმში დაგეწერებათ 63 ქულა.
- იმ შემთხვევაში თუ პროგრამირების აბსტრაქციის საგანში თქვენი ქულა 81-ზე ნაკლებია (პროპორციული 56,7), კრიტერიუმში დაგეწერებათ 0 ქულა.

2. აკადემიური მოსწრება - 30 ქულა

კრიტერიუმის შეფასება მოხდება შემდეგნაირად:

- იმ შემთხვევაში, თუ გაქვთ მიღებული უარყოფითი შეფასება (F ან FX) ნებისმიერ ერთ STEM საგანში*, აკადემიურ მოსწრებაში დაგეწერებათ 0 ქულა.
- დანარჩენ შემთხვევებში აკადემიური მოსწრება შეფასდება თქვენი მიმდინარე GPA-ს პროპორციულად, მაგალითად თუ თქვენი მიმდინარე GPA არის 3, 6, მაშინ აკადემიურ მოსწრებაში დაგეწერებათ 27 ქულა.

3. სამოტივაციო წერილი „რატომ უნდა ვისწავლო მაქსზე“ - ბონუს 1 ქულა.

კრიტერიუმის შეფასება მოხდება შემდეგნაირად:

- სამოტივაციო წერილი წარმოდგენილია და პასუხობს სათაურს - 1 ქულა
- სამოტივაციო წერილი წარმოდგენილი არ არის/ არ პასუხობს სათაურს - 0 ქულა

*სამოტივაციო წერილის მოცულობა - მაქსიმუმ 500 სიტყვა.

დადებითი გადაწყვეტილების მიღებისთვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 81 ქულა.

*STEM საგნებია ნებისმიერი საგანი დაკავშირებული მეცნიერებასთან, ტექნოლოგიებთან, კომპიუტერულ მეცნიერებებთან, ინჟინერიასთან და მათემატიკასთან, კერძოდ:

- აზროვნების მათემატიკური წესი
- ლოგიკა
- ბიზნესის და მართვის სკოლების „კალკულუსი“
- მართვის სკოლის „სტატისტიკა“
- შესავალი ციფრულ ტექნოლოგიებში
- ზოგადი ფიზიკის მათემატიკური მეთოდები
- ფიზიკის სკოლის ნებისმიერი „საბაზო განათლების“ საგანი ([იხ. ფიზიკის სკოლის კურიკულუმი](#))

- ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის პროგრამის ნებისმიერი „საბაზო და ძირითადი განათლების“ საგანი ([იხ. ელექტრო და კომპიუტერული ინჟინერიის კურიკულუმი](#))
- კომპიუტერული მეცნიერებებისა და მათემატიკის პროგრამის ნებისმიერი „საბაზო, ზოგადი, ძირითადი და სპეციალობის არჩევითი განათლების“ საგანი ([იხ. კომპიუტერული მეცნიერებებისა და მათემატიკის პროგრამის კურიკულუმი](#))
- სხვა.

*გაითვალისწინეთ, რომ მობილობის ვადებიდან გამომდინარე შესაძლებელია გადაწყვეტილება მობილობის შესახებ იქნეს მიღებული FX გამოცდების ჩატარებამდე, საგნებში მიმდინარე შეფასებების საფუძველზე.